community

The New Apostolic Church around the world

04/2016/GE

ვიაროთ სულით

2016 წლის სამების დღესასწაული: ღვთისმსახურება

კატეხიზმო: ღვთისმსახურება და ლოცვა-კურთხევანი

კატეხიზმო: ცოდვათა მიტევება

New Apostolic Church
International

ღვთის იარაღით

საერთაშორისო ახ.ს.ე.

საყვარელო და-ძმანო,

ცხადია, კარგად იცნობთ გედეონის ისტორიას: გედეონი დიდი ლაშქრით დაიძრა მიდიანელებთან, ისრაელის მტერთან, საომრად. მისი ლაშქარი 42 000 მებრძოლისგან შედგებოდა. მაგრამ ღმერთმა უთხრა: ბევრი ხალხი გყავსო. და გედეონს ლაშქრის შემცირება უბრძანა - ვიდრე ბოლოს მხოლოდ 300 კაცი არ დარჩა. ამ პატარა ჯგუფს ჩვეულებრივ იარაღზეც უნდა ეთქვა უარი და მხოლოდ საყვირები და ლამპრები წაეღო თან.

გონებით ამის წვდომა წარმოუდგენელი იყო. როგორ უნდა ებრძოლათ ლამპრებითა და საყვირებით მტრის უზარმაზარი ჯარის წინააღმდეგ? მაგრამ გედეონს ღვთისმოშიშება ჰქონდა და ფიქრობდა: რახან ღმერთი ამ იარაღით ბრძოლას გვიბრძანებს, ე. ი., გავიმარჯვებთ კიდეცო. ადამიანური თვალსაზრისით, ეს სრული უაზრობა იყო, მაგრამ, რადგან გედეონი ღვთისმოშიში იყო და ენდობოდა ღმერთს, გასწია კიდეც ამ საცოდავი იარაღით საომრად - და დაამარცხა მტრები: ეს გამარჯვება ღმერთმა უწყალობა გედეონს!

ღმერთს სურს, რომ მისი იარაღით ვიბრძოლოთ და არა მიწიერი იარაღით. ადამიანებს ძალითა და ძალადობით სურთ ბრძოლა. ძლიერს ბრძოლაში გამარჯვება სურს. მაგრამ ღმერთი გვეუბნება: გვერდზე გადადე ეს იარაღი, გამოიყენე ლოცვის იარაღი, მცნებებისადმი მორჩილების იარაღი, შემრიგებლობის იარაღი, ღვთიური მოთმინებისა და სიყვარულის იარაღი.

მოდით, ღვთიური იარაღი თავდასხმების დროს გამოვიყენოთ. შეიძლება ეს თავიდან აბსურდულად მოგვეჩვენოს, მაგრამ იგი მოქმედებს: მოსინჯეთ!

გულითდი მოკითხვებით

თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

ვიაროთ სულით

ღვთისმსახურება ფრანკფურტის (გერმანია) კონგრესის ცენტრიდან ევროპის თემებში იქნა ტრანსლირებული.

ფოტო: ჯესიკა კრეჩერი, მარსელ ფელდე და ოლივერ რიუტენი

გალ. 5, 25

თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ.

საყვარელო და-ძმანო აქ და შემოერთებულ თემებში! წლევანდელ სამების დღესასწაულთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ბიბლია წავიკითხოთ - მოციქულთა საქმეები 2, მუხლები 1-4 და 12-21: „ორმოცდამეათე დღე რომ სრულდებოდა, ყველანი ერთად იყვნენ იმავე ადგილას. და იქმნა მოულოდნელად ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ. და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი, და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს. ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ.“

„გაოგნდაყველადასაგონებელშიჩაცვივდნენ,ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ‘ნეტავ, ეს რას უნდა ნიშნავდეს?’ სხვები კი დაცინვით ამბობდნენ: ტკბილით არიან გამტყვრალნი. ხოლო თერთმეტთან ერთად მდგომი პეტრე წამოდგა, ხმა აღიმაღლა და უთხრა მათ: ‘იუდეველნო და იერუსალიმის ყველა მკვიდრნო! იყოს ეს თქვენთვის

ცნობილი და ყური დაუგდეთ ჩემს სიტყვებს. ისინი არ არიან მთვრალები, როგორც თქვენ გგონიათ, ვინაიდან ახლა დღის მესამე საათია. მაგრამ ესაა ნათქვამი იოელ წინასწარმეტყველის მიერ: 'იქნება უკანასკნელ დღეებში, - ამბობს ღმერთი, - რომ ჩემი სულისაგან მოვაფენ ყველა ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და თქვენი ასულნი. და თქვენი ჭაბუკნი ჩვენებას იხილავენ და თქვენს მოხუცებულებს სიზმრები დაესიზმრებათ. ჩემს მონებზე და ჩემს მხევლებზე მოვაფენ იმ დღეებში ჩემი სულისაგან და აწინასწარმეტყველდებიან. ვაჩვენებ სასწაულებს მაღლა ცაში და ნიშნებს დაბლა მიწაზე, სისხლსა და ცეცხლს, და კვამლის ბოლქვებს. მზე წყვდიადად იქცევა და მთვარე სისხლად, ვიდრე დადგებოდეს უფლის დღე, დიადი და გაცხადებული. და იქნება: ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის სახელს, გადარჩება."

სულიწმიდის მიერ შთგონებული, მანვე უნდა განმარტოს.

საყვარელო და-ძმანო, როგორც ყოველი საეკლესიო დღესასწაული, წმიდა სამების დღესასწაულიც მადლიერების ზეიმია; შესაძლებლობა იმისა, რომ მორწმუნეებმა ერთად მოიყარონ თავი, რათა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადონ ღმერთს იმის გამო, რომ შობაზე იესო ქრისტე, ღვთის ძე, განკაცდა, რომ ვნების პარასკევს იესო ქრისტემ მსხვერპლად გაიღო თავი, აღდგომას მკვდრეთით აღდგა და ამაღლებაზე დადო აღთქმა, რომ ქრისტე ისევ მოვიდოდა.

სამების დღესასწაულზე მორწმუნეები ერთად იკრიბებიან და მადლობას უხდიან ღმერთს სულიწმიდის მოვლინებისათვის.

მოდით, გადავხედოთ მოწაფეთა ეპოქას. იესოს მოწაფეებს ღმერთის განსაკუთრებული განცდის შესაძლებლობა ჰქონდათ: მათ იესო ქრისტეში ღმერთი შეიცნეს. დღეს სრულიად წარმოუდგენელია, თუ რას ნიშნავდა ეს მათთვის. ისინი შეიგრძნობდნენ, რომ ღმერთი მათთან ახლოს იყო მის ძეში. ის მათ ელაპრაკებოდა, მოძღვრავდა, ანუგეშებდა. ის მათთან ერთად ლოცულობდა. იგი იცავდა მათ, როცა თავს ესხმოდნენ, როცა აკრიტიკებდნენ. მოწაფეებისათვის განსაკუთრებული იყო ღმერთის ამ სიახლოვის განცდა. როცა ისინი სწორად ჩასწვდნენ ყოველივე ამას, იესომ უთხრა: „კვლავ ვტოვებ სოფელს და მივდივარ მამასთან" (იოან. 16, 28). მაგრამ შემდეგ იესოს დაპირებაში მამის მთელი სიყვარული გამოვლინდა: „მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ, ჭეშმარიტების სულს" (იოან. 14, 16. 17). მოავლინა რა ღმერთმა სულიწმიდა, მოწაფეებმა შეძლეს და ჩვენც შეგვიძლია დღეს ღმერთის სიახლოვის განცდა. თუ არა და, უკან ძველ ეპოქაში აღმოვჩნდებოდით გადასროლილი, როცა ღმერთი ცაში ცხოვრობდა, ჩვენგან ძალიან შორს.

სულიწმიდის წყალობით იესო კვლავაც აგრძელებდა მოწაფეთა გულში ცხოვრებას. სულიწმიდის მეშვეობით მათ კვლავაც შეეძლოთ იმის განცდა, თუ როგორ ლოცულობდა უფალი იესო მათთან ერთად, როგორ ანუგეშებდა მათ, როგორ ახლოს იყო და როგორ ელაპარაკებოდა, როგორ მოძღვრავდა.

იმის გამო, რომ ღმერთმა სულიწმიდა მოავლინა ამქვეყნად, დღეს ჩვენ ღმერთის სიახლოვის განცდა შეგვიძლია. ღმერთი გველაპარაკება, გვანუგეშებს, გვიცავს და გვეხმარება სულიწმიდის მეშვეობით. ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის მადლიერების საფუძველი.

ორმოცდაათობა ის დღეც არის, როცა იესო ქრისტეს მიერ დაწესებული ეკლესია პირველად გამოჩნდა ხილულად. შესაძლებელი გახდა მისი, ქრისტეს ეკლესიის, დანახვა, სადაც ხსნის პოვნა შეგვიძლია. ამისთვისაც მადლობლები უნდა ვიყოთ. ისე სხვაგან სად ვპოვებდით ხსნას? ეს მხოლოდ ქრისტეს ეკლესიაშია შესაძლებელი.

ქრისტეს ეკლესია მორწმუნეთა ერთობაც არის. ძმაო, დაო, წარმოგიდგენია, სულ მარტო რომ იყო, სულ მარტო რომ იბრძოდე? რანი ვიქნებოდით მორწმუნეთა ერთობის გარეშე? რანი ვიქნებოდით ღვთის შვილთა თანაზიარების გარეშე, იმ შესანიშნავი თანაზიარების გარეშე, რომლის განცდაც გამუდმებით შეგვიძლია? განა ეს არ არის მადლიერების საფუძველი? ჩვენ მადლობას ვუხდით ღმერთს, რომ თავისი სული მოგვივლინა, ჩვენ მადლობას ვუხდით მას იმისათვის, რომ ქრისტეს ეკლესია, მორწმუნეთა ერთობა გვიბოძა. დღეს კი, მოდით, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ღმერთს, სულიწმიდას.

პავლე აქ წერს: „თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ!“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სულიწმიდის წყალობით შეგვიძლია ვიცოცხლოთ. ის არის თავი და თავი იმისა, რომ ღვთიური სიცოცხლე გვაქვს. ამიტომაც, მოდით, დღეს ერთად გადავუხადოთ მადლობა ღმერთს, სულიწმიდას. მისგან გვაქვს ღვთიური სიცოცხლე. ეს კი სულიწმიდის მიერ იმის გამოცხადებით იწყება, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა. ადამიანური მსჯელობებით, მეცადინეობით ან ბიბლიის კითხვით ვერავინ მივა იესო ქრისტესადმი რწმენამდე. ამის გაცხადება მხოლოდ სულიწმიდას შეუძლია, რომელიც ადამიანს იმის შემეცნების შესაძლებლობას აძლევს, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთია. ეს არის სულიწმიდის საქმე.

სულიწმიდა სულების გარჩევის უნარს გვაძლევს.

სულიწმიდის წყალობით გვაქვს ღვთიური სიცოცხლე. წყლისა და სულისაგან ხელახლა დაბადებაში ჩადო ღმერთმა ეს სიცოცხლე. ეს არის სულიწმიდის საქმე. ამისათვის მადლობლები ვართ. სულიწმიდა გვაძლევს ასევე ყველაფერს, რაც ამ სიცოცხლის განვითარებას სჭირდება. ის გვაძლევს საკვებს, რომელიც სულისმიერი სიცოცხლის გამოსაკვებად გვჭირდება. იესომ თქვა: „არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით“ (მათ. 4, 4), და ხაზი გაუსვა იმას, რომ „ნეტარ არიან ისინი, ვინც მოისმენენ ... ღვთის სიტყვას“ (ლუკ. 11, 28). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღვთის სიტყვის მარტო კითხვა საკმარისი არ არის; ის უნდა მოვისმინოთ კიდეც. ღვთიური სიცოცხლის განვითარებას ქადაგება სჭირდება. ეს ეკლესიის გამონაგონი არ არის, ეს ღვთიური ჭეშმარიტებაა. უფალმა იესომ დაადგინა ეს ასე: ნეტარ არიან ისინი, ვინც ისმენენ ღვთის სიტყვას!

ბიბლიაში ჩაწერილი ღვთის სიტყვის გასაგებად სულიწმიდა გვჭირდება. ბიბლია სულიწმიდის მიერ არის შთაგონებული და მხოლოდ სულიწმიდის დახმარებით არის მისი განმარტება შესაძლებელი.

ბევრი ადამიანი შეისწავლის წმიდა წერილს. მაგრამ თუ სულიწმიდა არ შთააგონებს მათ, ისინი ვერ შეძლებენ წერილის აზრში წვდომას. ეს ადამიანისათვის შეუძლებელია. ამას სულიწმიდის ზემოქმედება სჭირდება. სულიწმიდის მიერ შთაგონებული, მანვე უნდა განმარტოს.

მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საკმარისი არ არის მარტო ბიბლიის კითხვა, ღვთის სიტყვის მოსმენაც აუცილებელია, ქადაგება უნდა მოისმინოს კაცმა, ქადაგება კი სულიწმიდისგან უნდა იყოს შთაგონებული. ადრე ხშირად „სულით ამოქმედებულ სიტყვაზე“ ვლაპარაკობდით. კარგად მესმის, რომ ყველა სიტყვა,

რომელიც იქადაგება, ღვთიური ჭეშმარიტება არ არის. ეს მე საკუთარი და უახლესი გამოცდილებიდან ვიცი.

სხვათა შორის, ბოდიში უნდა მოვუხადო ლიორახელ და-ძმებს: ამაღლებაზე მთელი ძალითა და დიდი სულისკვეთებით ვიქადაგე, რომ მოსე და ელია ზეცად ამაღლდნენ. რა თქმა უნდა, ეს შეცდომა იყო. ენოქი და ელია ამაღლდნენ ზეცად. მოსე მოკვდა. ღმერთმა თავად დაკრძალა იგი, მისი საფლავი კი უცნობია. მაგრამ იგი მოკვდა. ენოქი და ელია ამაღლდნენ ზეცად და არა მოსე და ელია. მაშასადამე, ყველა სიტყვა, რომელიც საკურთხევლიდან იქადაგება, არ არის ღვთის სიტყვა.

კარგით, ვნახოთ, როგორ არის საქმე სულიწმიდის შთაგონებასთან მიმართებაში. სულიწმიდა ქადაგების სიტყვას განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს. სულიწმიდის ზემოქმედება იმასაც განაპირობებს, რომ მსმენელი, რომელიც მორწმუნეა, აცნობიერებს და იღებს ქადაგების სიტყვიდან გამომდინარე ამ ძალას. ასე მოქმედებს სულიწმიდა და ამისთვის მადლობლები ვართ მისი.

წმიდა ზიარებისას სულიწმიდა განაპირობებს იმას, რომ იესოს ხორცი და სისხლი პურსა და ღვინოში განიფინება. მხოლოდ ამის საფუძველზე შეგვიძლია ვიზეიმოთ წმიდა ზიარება და ის ძალა და ის საკვები მივიღოთ, რომლებიც სიცოცხლის განვითარებისათვის გვჭირდება.

სულიწმიდის მოქმედების ბოლო მომენტსაც გავიხსენებ. სული მოციქულებსა და ორდინირებულ ძმებს განწმედს ისე, რომ მათ თავიანთი მსახურების შესრულება შეძლონ. ამგვარი განწმედის გარეშე ეს არ გამოვიდოდა. მაშ, როგორ უნდა გააკეთონ არასრულყოფილმა ადამიანებმა ისეთი რამ, რასაც ხსნის მომტანი შედეგი ექნება? ეს მხოლოდ განწმედილ ღვთის მსახურს შეუძლია, იმას, რომელიც სულიწმიდამ განწმიდა.

ეს იყო რამოდენიმე იმპულსი იმისათვის, რომ დავფიქრდეთ, თუ რატომ ვცოცხლობთ სულით და რისთვის უნდა ვიყოთ მისი მადლობლები.

კარგია, როცა სადიდებელ და სამადლობელ საგალობლებს აღვავლენთ. ნებისმიერი დედა შვილს ასე ეტყოდა: „კარგია, მადლობას რომ მიხდი, მაგრამ მე ცოტა უფრო მეტს ვისურვებდი.“

როგორ გადავუხადოთ სულიწმიდას მადლობა იმისათვის, რომ ღვთიურ სიცოცხლეს გვანიჭებს, გვაძლევს საზრდოს ამ სიცოცხლისათვის და იმის შესაძლებლობას, რომ განვავითაროთ იგი ჩვენში? მადლობა იმით გადავუხადოთ მას, რომ სულით ვისაზრდოოთ. ის საზრდოს ქადაგების სიტყვასა და წმიდა ზიარებაში გვიმზადებს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ მივიღოთ იგი, მოვისმინოთ ქადაგების სიტყვა და გავითავისოთ, შევიტკბოთ წმიდა ზიარება. ხშირად მითქვამს და აქაც გავიმეორებ: საქმე ღვთისმსახურებაზე დასწრებას კი არ ეხება, არამედ ჩვენს ხსნას!

შეუძლებელია ღმერთთან თანაზიარებაში შესვლა ისე, რომ არ მოვისმინოთ ქადაგების სიტყვა და არ გავითავისოთ იგი, არ ვიზეიმოთ წმიდა ზიარება. ეს მე არ გამომიგონია, ეს ღვთიური ჭეშმარიტებაა, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით მას თუ არა. მე მხოლოდ ღვთის მსახური ვარ და მხოლოდ იმის ქადაგება შემიძლია, რასაც ღმერთი მეუბნება. და იმას, რასაც იგი მე მეუბნება, ბევრ მორწმუნესაც ეუბნება. მოდით, ჩვენი მადლიერება

განსვენებულთა ნაცვლად წმიდა ზიარებას მოციქულები იღებენ

სულიწმიდის მიმართ იმით გამოვავლინოთ, რომ მივიღოთ ის საზრდო, რომელსაც იგი გვიმზადებს.

კიდევ როგორ გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება? იმით, რომ სულიწმიდასთან ერთად ვილოცოთ. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. იესო თავის მოწაფეებთან ერთად ლოცულობდა. შემდეგ მან სულიწმიდა მოავლინა, რომელიც ლოცვაში გვეხმარება. სულიწმიდა ჩვენთან ერთად ლოცულობს და იმასაც გვეუბნება, თუ როგორ უნდა ვილოცოთ. წმიდა წერილში ნათქვამია: „მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: ‘აბბა, მამაო!“ (რომ. 8, 15). „აბბა“ არამეული სიტყვაა და უბრალოდ „მამას“ ნიშნავს. ეს სიტყვა ღვთისადმი სრულ, უსაზღვრო ნდობას გამოხატავს.

როცა ვამბობთ: „საყვარელო ზეციურო მამაო, მამაზეციერო ...“, ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რასაც ახლა ვამბობთ, ღვთისადმი სრული ნდობით არის გაჯერებული: „ვიცი, რომ გიყვარვარ, ვიცი, ყოვლისშემძლე ხარ, ვერ ვიგებ შენსას, მაგრამ თავიდან ბოლომდე გენდობი!“ ეს არის სულიწმიდის მიერ შთაგონებული ლოცვა. მოდით, ვილოცოთ სულით.

რა თქმა უნდა, სულიწმიდას დრო სჭირდება, რომ იმოქმედოს. ჩვენ რეგულარულად ვლოცულობთ და ზოგჯერ ამას მხოლოდ ჩვეულების მიხედვითაც ვაკეთებთ. ცხადია, ეს არ არის ცუდი, მაგრამ არის თუ არა ეს ყოველთვის სულის მიერ შთაგონებული, რაც შემეხება მე, ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ ამაში. კარგია ისიც, როცა ჩვენი ლოცვები ემოციებით არის შთაგონებული. ამ დროს კაცს განსაკუთრებული შეგრძნება ეუფლება და ემოციებიდან გამომდინარე სპონტანურად ლოცულობს. ეს სრულიად ნორმალურია. ისიც კარგია, როცა ლოცვას ცოტა უფრო მეტ დროს ვუთმობთ და სულს ზემოქმედების საშუალებას ვაძლევთ, რათა ლოცვისათვის მოვემზადოთ; ხოლო შემდეგ, სულის მიერ შთაგონებულნი პრიორიტეტებს ვსახავთ და ვეუბნებით ღმერთს, თუ რას ვანიჭებთ უპირატესობას და რას ვაყენებთ მეორე ან მესამე ადგილზე. როცა ლოცვა სულის მონაწილეობით წარმოითქმის, მაშინ პრიორიტეტებიც ცხადია. ამას ყოველ დილით, საუზმემდე ან საუზმის მერე, ვერ გავაკეთებთ. მაგრამ ხანდახან, მე ამას მხოლოდ გირჩევთ, დრო უნდა გამოვნახოთ ლოცვის წარმოსათქმელად სულის მონაწილეობით, რომლის დროსაც კონკრეტულად დავადგენთ პრიორიტეტებს და სრული ნდობით დაველაპარაკებით ღმერთს.

მოდით, სულით ვიბრძოლოთ. ჩვენ მონათლულები და სულიწმიდით აღბეჭდილნი ვართ, რითაც დავადასტურეთ ჩვენი ნება, რომ ვიყოთ იესო ქრისტეს მიმდევრები და ვძლიოთ ბოროტს. სულიწმიდა სულების გარჩევის უნარს გვაძლევს. მთავარია, სწორი ბრძოლა ვაწარმოოთ და ნამდვილი მტერი დავამარცხოთ.

თუ ვიტყვით, რომ მთელ ქვეყნიერებაზე გვინდა გავიმარჯვოთ, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ დედამიწაზე კარგად ვერ ვგრძნობთ თავს: გვგონია, რომ ყველაფერი ცუდია აქ, ყველაფერი უშნოა, ჭუჭყიანი და ამიტომ ზეცისკენ ვილტვით, სადაც ყველაფერი შესანიშნავია! ამ შემთხვევაში ბრძოლა არასწორი იქნებოდა. ის, რაც მიწიერია, არ ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად ცუდი და ბოროტია. ჩვენ არ გვძულს ამქვეყნიური ცხოვრება. დედამიწაზეც არსებობს მშვენიერი, სასიამოვნო, ამაღლებული. არც იესოს სძულდა მიწიერი ცხოვრება, მას აქ მეგობრები ჰყავდა და ტკბებოდა ამ მეგობრობით. ის სვამდა, ჭამდა, ქეიფობდა და, ცხადია, სიამოვნებასაც იღებდა ამისგან.

არა, ჩვენ არ გვძულს ცხოვრება დედამიწაზე, ჩვენ ვაფასებთ მას და მისით ტკბობაც შეგვიძლია. ბრძოლა, რომელსაც ვაწარმოებთ, სხვა ბრძოლაა. ჩვენ ბოროტებას ვებრძვით. ეს ბრძოლა ერთ წინადადებაში შეიძლება შევაჯამოთ: ჩვენ ვებრძვით ყველაფერს, რაც ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარულის მცნებას არღვევს. ეს არის სწორი ბრძოლა. სულიწმიდის მეშვეობით ქრისტეს სხეულის ნაწილები გავხდით. იესო ქრისტემ თავის თავზე თქვა: „ისევე, როგროც კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს“ (მათ. 20, 28). თუ ჩვენ სულიწმიდის მეშვეობით ქრისტეს სხეულის ნაწილები გავხდით, მაშინ იგივე დავალება გვაკისრია. ქრისტეს სხეულის ნაწილები იმისათვის არ გავმხდარვართ, რომ მოგვემსახურონ. ზოგიერთი მორწმუნე ეკლესიას უყურებს როგორც მომსახურების ცენტრს. როცა ვინმეს რამე სჭირდება, აკაკუნებს და ამბობს: „მე ხომ თქვენი წევრი ვარ, მეც გავიღე ჩემი მსხვერპლი, ეს მე მერგება ...“ მეტს აღარ გავაგრძელებ.

მოდით, ვიმსახუროთ და სიკეთე ვაკეთოთ. რატომ? ერთი მიზეზით: მოდით, ქრისტეზე მივუთითოთ. მე

მოციქული იურგ ცბინდენი

სამხ. მოციქული ვილფრიდ კლინგლერი

მოციქული ფოლკერ კიუნლე

ვემსახურები, ვინაიდან ქრისტე აკეთებდა ამას და მინდა, რომ მას დავემსგავსო. რატომ აკეთებ ამას? იმიტომ, რომ იესოს ვუყვარვარ და მეც მინდა სიყვარულით ვუპასუხო მას. მოდით, ვიმსახუროთ ყველაფრით, რასაც ვაკეთებთ, რათა იესო ქრისტეზე მივუთითოთ. ეს ეხება ყველას სათითაოდ, და ჩვენც ხომ მორწმუნეთა ერთობის ნაწილები ვართ. ქრისტეს ეკლესიაც იმიტომ არსებობს, რომ ქრისტეს ემსახუროს.

ჩვენი მსახურება იმაზე მოწმობაა, რომ იესო ქრისტე მართავს თავის ეკლესიას, რომ ის თემშია და მოქმედებს მასში. ჩვენი თანაზიარება იმის ნიშანია, რომ იესო ქრისტე თავის ეკლესიაშია, თემში სუფევს და საქმეს აკეთებს. და-ძმანო, ჰქენით სიკეთე და თან წაიღეთ ეს აზრები. ხარისხი, ინტენსიურობა ჩვენი თანაზიარებისა არის ნიშანი და მოწმობა იმისა, რომ იესო ქრისტე თემშია და საქმეს აკეთებს.

და ბოლო პუნქტი: მოდით, სულითაც ვიზარდოთ. ჩვენ ღვთის შვილები იმიტომ გავხდით, რომ დავესწროთ უფლის დღეს, რათა უფალთან ერთად, როგორც მისი სასძლო, სასუფეველში შევიდეთ.

ზოგჯერ იმასაც გვსაყვედურობენ, თითქოს ეგოისტურად ვფიქრობდეთ: „თქვენ გინდათ, რომ მარტო თქვენ გადარჩეთ, ის კი, თუ რა მოუვათ სხვა ადამიანებს, თქვენთვის სულერთია!“ შეიძლება ამას ასეც შეეხედოთ. მაგრამ მე მინდა, რომ ეს მოსაზრება სულთან მიმართებაში გავაშუქო. მაშ, რა არის ხსნის ღვთიური გეგმის მიზანი? ღმერთს მარტო ჩემი გადარჩენა კი არ სურს, მას მარტო შენი გადარჩენა კი არ სურს, მას ყველა დროის ყველა ადამიანის გადარჩენა სურს ბოროტის ხელიდან, მათი ტანჯვისა და სიკვდილისაგან განთავისუფლება სურს. მიზანი ახალი შემოქმედებაა, სადაც სიკვდილი აღარ იქნება. ეს არის ხსნის ღთიური გეგმა. შემდეგი ნაბიჯი ამ გეგმაში იესო ქრისტეს მეორედ მოსვლაა. იესო ისევ მოვა და თავის სასძლოს წაიყვანს. სასძლო კი სამეფო სამღვდელოებას განეკუთვნება, რომელიც ათასწლიან მშვიდობის სასუფეველში იესო ქრისტეს მხარდამხარ იმუშავებს. ასეთია ჩვენი რწმენა და დასკვნებსაც აქედან ვაკეთებ.

ცხადია, ისიც გვინდა, რომ ადამიანებს გასაჭირის დაძლევაშიდავეხმაროთ.მაგრამსაუკეთესოგზაიმისა,რომ ისინი საბოლოოდ განთავისუფლდნენ გასაჭირისაგან, და საუკეთესო მსახურება, რომლის გაკეთებაც მე საერთოდ კაცობრიობისათვის შემიძლია, არის ის, რომ უფლის მეორედ მოსვლისათვის მოვემზადო, რათა შემდეგ ხსნის გეგმის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება შევძლო.

ღმერთს სურს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს. მისი მიზანი სიკვდილისგან ხსნაა ახალ შემოქმედებაში. შემდეგი ნაბიჯი მის გეგმაში ქრისტეს მეორედ მოსვლაა. მოდით, ვიზარდოთ სულით, რათა უფლის მოსვლისათვის ვიყოთ მზად. ეს მსახურება მარტო ჩვენ კი არ გვარგებს, არამედ მთელ კაცობრიობას. მაშ, მოდით, მადლობა გადავუხადოთ დღეს ღმერთს, სულიწმიდას, მისი საქმიანობისათვის, სიცოცხლისათვის, რომელიც მან მოგვანიჭა, საზრდოსათვის, რომელსაც გვაძლევს და დახმარებისათვის, რომელსაც გვიწევს.

ძირითადი აზრები

ღმერთთან თანაზიარებაში შესვლა სულიწმიდის წყალობით შეგვიძლია. ჩვენ მადლობას ვუხდით მას იმით, რომ

- სულიერ საზრდოს ვეძიებთ;
- სულთან ერთად ვლოცულობთ;
- ქრისტეს მაგალითს მივსდევთ;
- გვიყვარს ჩვენი მოყვასი და
- ქრისტეს მეორედ მოსვლაზე ვართ ორიენტირებულნი.

დავითი და აბიგაილი

(1. მეფ. 25)

დავითმა თავისი კაცებით ნაბალის მწყემსები და ცხვრის მპარსველნი დაიცვა. ნაბალმა კი მას უმადურებით უპასუხა. ნაბალზე შურისძიებისაგან დავითი ნაბალის ცოლმა, აბიგაილმა, შეაჩერა მისი მოხერხებული საქციელით.

ნაბალი მაყონის უდაბნოში ცხოვრობდა. ძალიან მდიდარი კაცი იყო. 3000 ცხვარი და 1000 თხა ჰყავდა. ნაბალს აბიგაილი ჰყავდა ცოლად, ჭკვიანი და ლამაზი ქალი; ნაბალი კი, პირიქით, უკმეხი და ავისმქნელი იყო. დავითმა გაიგო, რომ ნაბალი ქარმელში ცხვრებს პარსავდა. ათი კაცი გააგზავნა მასთან. ისინი ქარმელში უნდა მისულიყვნენ, თავაზიანად მისალმებოდნენ ნაბალს და ცოტა სასმელ-საჭმელი ეთხოვათ. მაგრამ ნაბალმა დავითის მსახურებს უთხრა: „ვინ არის დავითი? გამრავლდნენ დღეს მსახურნი, თავიანთ ბატონებს რომ გაურბიან. ავიღო ჩემი პური, წყალი და ღვინო, მპარსველებისთვის გამზადებული საკლავი, და მივცე კაცებს, რომელთა ასავალ-დასავალიც არ ვიცი?“ დავითის ხალხი უკან დაბრუნდა და ყველაფერი მოახსენეს მას. დავითმა თავის მსახურებს უთხრა: „ყველამ შეიბით მახვილები წელზე!’ ყველამ შეიბა მახვილი, შეიბა დავითმაც თავისი მახვილი და გაჰყვა დავითს ოთხასამდე კაცი, ორასი კაცი ადგილზე დარჩა.“ ერთი კაცი მივიდა აბიგაილთან და მოუყვა, რაც მოხდა: „მოციქულები გაუგზავნა დავითმა უდაბნოდან ჩვენს ბატონს და მოიკითხა, მაგრამ მან აბუჩად აიგდო ისინი. ძალიან კარგად გვეპყრობოდა ეს ხალხი, არ დავუჩაგრივართ, არაფერი დაგვიკარგავს ველზე ყოფნისას, როცა მათთან ერთად დავდიოდით. ზღუდედ იყვნენ ჩვენთვის დღისით და ღამით სამწყემსურში, როცა მათთან ახლოს ვმწყემსავდით ფარებს. ახლა აწონ-დაწონე, როგორ უნდა მოიქცე, რადგან სასჯელი ელის ჩვენს ბატონს ... მასთან ლაპარაკი არ იქნება.“

სისხლისღვრა და შურისგება (სისხლის აღების წესი) ბიბლიურ პერიოდში იყო დანაშაული, რომელსაც კაცი თავის თავზე იღებდა, როცა ადამიანს კლავდა. მოკლულის ნათესავებს ან კლანის წევრებს მისი სიკვდილის გამო შური უნდა ეძიათ და მკვლელი მოეკლათ.

„და ისწრაფა აბიგაილმა, და აიღო ორასი პური, ორი ტიკი ღვინო, ხუთი გამზადებული ცხვარი, ხუთი სეა ქუმელი, ასი მტევანი ჩამიჩი, ორასი აცმა ლეღვის ჩირი.“ ისე, რომ არაფერი უთქვამს თავისი ქმრისათვის, ყველაფერი ეს სახედრებს აჰკიდა და მსახურებთან ერთად დავითის შესახვედრად გაემართა.
დავითი ფიქრობდა: „ტყუილად ვიცავდი ამ კაცის სარჩო-საბადებელს უდაბნოში. არაფერი დაუკარგავს ქონებიდან, მაგრამ ეს სიკეთე ბოროტად გადამიხადა!“ ღმერთმა განსაჯოსო.
როცა აბიგაილი დავითთან მივიდა, სასწრაფოდ ჩამოხდა სახედრიდან და პირქვე დაემხო მის წინაშე და უთხრა: „ახლა, უფლისა და შენს თავს გაფიცებ, ჩემო ბატონო, უფალმა დაგაკაოს სისხლისღვრისა და შურისგებისაგან. აჰა, ეს მოსაკითხი, რომელიც შენს მხევალს მოუტანია ჩემი ბატონისათვის. მიეცეს ჭაბუკებს ჩემი ბატონის ფეხს რომ დაჰყვებიან. აპატიე დანაშაული შენს მხევალს. და ბოროტება არ იქნება შენში არასდროს. არ დაღვარო უდანაშაულო სისხლი. და როცა უფალი სიკეთს გაგიკეთებს, მაშინ გამიხსენე მე.“

დავითმა აბიგაილს ასე უპასუხა: „კურთხეულია უფალი, რომელმაც ჩემს შესახვედრად გამოგგზავნა დღეს. კურთხეული იყოს შენი გონიერება და კურთხეული იყავი შენ, რომ არ გამიშვი სისხლისღვრამდე და შურისგებამდე.“
დავითმა მიიღო აბიგაილის მიერ მიტანილი საჭმელი და უთხრა: „მშვიდობით წადი შენს სახლში.“
მაგრამ როცა აბიგაილი სახლში დაბრუნდა ნაბალთან, ნახა, რომ დიდი ლხინი გაემართა მას და მთვრალიც იყო. ქალს არ უთქვამს მისთვის, რაც გააკეთა. მეორე დილით, როცა ნაბალი გამოფხიზლდა, აბიგაილმა უამბო მას, რაც შესარიგებლად მოიმოქმედა. ნაბალი გაქვავდა და გული ჩაუკვდა. ათი დღის შემდეგ კი მოკვდა.
დავითმა იცოდა, რომ ღმერთმა მიუზღო მას სამაგიერო. აბიგაილის მეშვეობით კი ღმერთმა მასაც შეუშალა ხელი იმაში, რომ თავადაც არ ჩაედინა დანაშაული. დავითმა შეუთვალა აბიგაილს, რომ მისი ცოლად შერთვა უნდოდა. აბიგაილი დავითის ცოლი გახდა.

მარეკლა ფირტუნატი

ლეასთან ნიუ-ჯერსიში (აშშ)

ფოტოები: პირადი

1

გამარჯობათ, ჩემი სახელია ლეა. ვარ რვა წლის და ვცხოვრობ ნიუ-ჯერსიში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. მყავს ექვსი წლის ძმა. მას მაიკლი ჰქვია.

მამაჩემი ჯონი სამედიცინო აპარატურის საწარმოში პროექტის მენეჯერია, დედაჩემი რეიჩელი კი - რენტგენოლოგის ასისტენტია.

იქიდან, სადაც მე ვცხოვრობ, 30 წუთი უნდა მანქანას ნიუ-იორკამდე. მამაჩემი პარამუსის ეკლესიის მღვდელია. გზაში ცათამბრჯენების სილუეტების დანახვა შემიძლია, ასევე Empire State Building-ისაც (ყველაზე მაღალი შენობის).

ფოტო: ოლეგსანდრ დობროვა/

ეკელსიაში ჩემი საუკეთესო მეგობარი ანაა. ჩვენ ერთად დავდივართ საკვირაო სკოლაში. ანდრეასთან, ჩვენს მასწავლებელთან ერთად, გაკვეთილი, მართლაც, სახალისოა. განსაკუთრებით მახარებს საზაფხულო ბიბლიის სკოლა. აქ სხვა თემების ბავშვებიც მოდიან, ჩვენ ბევრ რამეს ვაკეთებთ ერთად, ვმღერით და ვთამაშობთ, ასევე ღვთის საქმეებზეც ვიგებთ რაღაცას.



2

მაიკლი და მე ერთსა და იმავე სკოლაში დავდივართ. ის მოსამზადებელ კლასშია იმ დროს, როცა მე მესამე კლასში ვარ. ჩემი საყვარელი საგნებია მათემატიკა და კითხვა. მუსიკაც მიყვარს, სიამოვნებით ვმღერი.



შესვენებებზე ჩემს მეგობრებთან ერთად ვთამაშობ. ჩემი საუკეთესო მეგობარი ლინდსია, ჩვენ ბევრ დროს ვატარებთ ერთად.

როცა არც სკოლაში ვარ და არც ეკლესიაში, სიამოვნებით ვცეკვავ და ვხატავ. დედამ ზოგიერთი ჩემი სურათი ჩარჩოშიც ჩაასმევინა. ეს ერთ-ერთი მათგანია.

ქვეყნის ამ ნაწილში მაღალი მთებია, მაგრამ დასავლეთში გრძელი სანაპიროებია ატლანტიკური ოკეანის გასწვრივ. ზამთარში მარხილითა და თხილამურებზე სრიალი მიყვარს, ზაფხულში კი - ცურვა და სანაპიროზე



სეირნობა.

ნიუ-ჯერსის ბაღების შტატს ეძახიან, რადგან აქ ბევრი სასოფლო-სამეურნეო საწარმოა. იქ ხილსა და ბოსტნეულს რგავენ, მაგ, პომიდვრებს, მოცვსა



და სიმინდს. შემოდგომაზე ერთხელ ვაშლებიც მოვკრიფე. შეერთებული შტატები სხვადასხვა კულტურის სამშობლო გახდა. ამიტომაც ჭამის დროს დიდი არჩევანი მაქვს. ჩემი საყვარელი საჭმელებია: ბურიტო (ქადა), შემწვარი სოსისი, ლო-მეინ - ატრია (ჩინური კერძი), ფრანგული ტოსტი და ჰოტ დოგი. ყველაზე გემრიელ ჰოტ დოგებს ნიუ-იორკში ქუჩაში ყიდიან. მამაჩემმა ჩემს დაბადების დღეზე ერთი საჩუქრად მომიტანა.

დაალაგე ლეას საყვარელი კერძები შემდეგი ქვეყნებიდან

5 ამერიკა
- ჩინეთი
- გერმანია
- საფრანგეთი
- მექსიკა

პასუხები: 1. ბურიტო - მექსიკა, 2. ლო-მეინ - ჩინეთი - ჩინეთი, 3. ფრანგული ტოსტი - საფრანგეთი, 4. ჰოტ დოგი - ამერიკა, 5. ჰოტ დოგი - გერმანია

ფოტო: ოლივერ რიუტენი

ღვთისმსახურება და ლოცვა-კკურთხევანი

2015 წელს გამოვიდა ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებისა და პასუხების ფორმით. მთლიანობაში 750 კითხვისა და პასუხისაგან „კომიუნიტი“ ამონარიდის სახით რამოდენიმე კითხვასა და პასუხს წარმოგიდგენთ - ამ გამოცემაში საუბარი იქნება ღვთისმსახურებაზე, ლოცვა-კურთხევასა და ცოდვათა მიტევებაზე.

რას წარმოადგენს ღვთისმსახურება?
ღვთისმსახურება ღმერთის საქმიანობაა ადამიანთან მიმართებაში. ამავე დროს, ის ადამიანის საქმიანობაც არის ღვთისათვის. ღვთისმსახურებაზე ადამიანები იმისათვის იკრიბებიან, რომ ერთად სცენ თაყვანი ღმერთს, ადიდონ იგი და მადლი შესწირონ მას. ისინი ღვთის სიტყვის მოსასმენად და საიდუმლოთა მისაღებადაც იკრიბებიან. ამდენად, ღვთისმსახურება ღმერთისა და ადამიანის შეხვედრაა. ღვთისმსახურებაზე თემი სამერთი ღმერთის სუფევას აღიქვამს და შეიგრძნობს, რომ ღმერთი მას სიყვარულით ემსახურება.

სუფევს ღმერთი ღვთისმსახურებაზე?
დიახ, ღვთისმსახურების დასაწყისში ღმერთს ამ სიტყვებით უხმობენ: „სახელითა ღვთისა, მამისა და ძისა და სულიწმიდისა“. ღმერთის ამგვარ ხმობას „ტრინიტარულ ფორმულას“ უწოდებენ. ამდენად, ღვთისმსახურებაზე დამსწრეს უხსნიან, რომ ღმერთი აქ არის, რაც თავად ღვთის ძემ აღგვითქვა (შევ. მათ. 18, 20).

რომელია ღვთისმსახურების ძირითადი ელემენტები?
იერუსალიმის პირველ ქრისტიანებზე ასეთი მოწმობაა მოცემული: „და იყვნენ ისინი გამუდმებით მოციქულთა მოძღვრებაში, თანამოზიარობაში, პურის გატეხასა და ლოცვებში“ (საქმე 2, 42). ღვთისმსახურების ძირითადი ელემენტები სწორედ აქედან გამომდინარეობს: მოციქულთა მოძღვრება, თანამოზიარეობა, პურის გატეხა და ლოცვა.

რა არის ქადაგების მთავარი შინაარსი და მიზანი?
ქადაგების მთავარ შინაარსს იესო ქრისტეს სახარება წარმოადგენს, სასიხარულო ცნობა იმაზე, რომ იესო მსხვერპლად შეეწირა, აღდგა და ისევ მოვა. სულიწმიდა მღვდელმსახურთა მეშვეობით ლაპარაკობს. ასე ხდება რწმენის გამოღვიძება და გაძლიერება. სიტყვის უწყების მუდმივი მიზანი იესო ქრისტეს მოსვლისათვის თემის მომზადებაა (შევ. 2. კორ. 11, 2).

რა ამოცანა აკისრიათ ქადაგების მსმენელებს?
ქადაგების დაწყებამდე მსმენელებმა უნდა ილოცონ,

რომ უფალმა მათ ძალა და მშვიდობა მიანიჭოს სიტყვით. მათ სიტყვა რწმენით უნდა მიიღონ და მათი ამოცანა მისი ყოფით ცხოვრებაში განხორციელებაა - აზროვნებით, სიტყვითა და საქციელით. მაშასადამე, ისინი მოწოდებულნი არიან, იცხოვრონ ქრისტეს მიმდევრობაში.

რომელი ლოცვა წარმოითქმის ღვთისმსახურებაზე მტკიცედ დადგენილი ტექსტით?
ლოცვა, რომელიც იესომ გვასწავლა, არის „მამაო ჩვენო“. ეს არის ერთადერთი ლოცვა, რომელსაც მორწმუნეები მტკიცედ დადგენილი ტექსტით ერთად წარმოთქვამენ ღვთისმსახურებაზე. ის გადმოცემულია ხუთი თხოვნის ფორმულირებით (შევ. ლუკ. 11, 2-4) და ერთი შვიდი თხოვნისგან შემდგარი დეტალური ფორმულირებით (შევ. მათ. 6, 9-13).

რა სიტყვებით ხდება ცოდვათა მიტევების უწყება?
მოციქულები ცოდვათა მიტევებას უშუალოდ იესო ქრისტეზე დაყრდნობით იუწყებიან: „გაუწყებთ სასიხარულო ამბავს: ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, ცოცხალი ღმერთის ძის სახელით, მოგეტევათ თქვენ ცოდვები თქვენი. მშვიდობა მკვდრეთით აღმდგარი უფლისა, დაე, იყოს თქვენთან. ამინ!“ მღვდელმსახურები ცოდვათა მიტევებას მოციქულებზე დაყრდნობით იუწყებიან: „ჩემი გამომგზავნის, მოციქულის, დავალებით გაუწყებთ სასიხარულო ამბავს: ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, ცოცხალი ღმერთის ძის სახელით, მოგეტევათ თქვენ ცოდვები თქვენი. მშვიდობა მკვდრეთით აღმდგარი უფლისა, დაე, იყოს თქვენთან. ამინ!“

რას წარმოადგენს „ლოცვა-კურთხევანი“?
ღმერთი თან ახლავს ადამიანებს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში და აკურთხებს მათ. „ლოცვა-კურთხევაში“ მოვიაზრებთ ყველა იმ საეკლესიო მღვდელმოქმედებას, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში ტარდება. ლოცვა-კურთხევა საიდუმლო არ არის.

რა ხდება ლოცვა-კურთხევის დროს?
ლოცვა-კურთხევის დროს ღმერთი იმ ადამიანს მიმართავს, რომელიც გულწრფელად სთხოვს მას კურთხევას. მოციქულებისა და მღვდელმსახურთა მეშვეობით ღმერთი აკურთხებს კურთხევის მსურველს და დახმარებას, წყალობასა და გულმოწყალებას სთავაზობს. ეკლესიის შენობის ანდა თემის შეკრების ადგილის კურთხევაც, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ლოცვა-კურთხევას წარმოადგენს.

რომელი ლოცვა-კურთხევანი ტარდება ღვთისმსახურებაზე?
ღვთისმსახურებაზე შემდეგი ლოცვა-კურთხევანი ტარდება: კონფირმაციის, ახალსამოციქულო ეკლესიის წევრად მიღების, ნიშნობის, ჯვრისწერისა და საქორწინო იუბილეების კურთხევა. ორდინაცია და სასულიერო თანამდებობასთან დაკავშირებული სხვა მღვდელმოქმედებანიც ღვთისმსახურებაზე ტარდება.

რა ამოცანა აკისრია მუსიკას ღვთისმსახურებაზე?
მუსიკის მეშვეობით დიდება და პატივი უნდა მივაგოთ ღმერთს ღვთისმსახურებაზე (შევ. ფსალ. 149). ესე იგი, მას მსახურების ფუნქცია გააჩნია. ამდენად, მუსიკას ღრმად შეუძლია ჩასწვდეს გულს, სათანადო განწყობა შეუქმნას თემს სიტყვის უწყების მოსასმენად და ხაზი გაუსვას ღვთის სიტყვის შინაარსს. თემისა და გუნდის გალობის მეშვეობით ან ინსტრუმენტალური მუსიკის მეშვეობით მხნეობის, ძალისა და ღრმა რწმენის გამოხატვა და გადაცემა ხდება. მწუხარებისა და გაჭირვების დროს მუსიკამ ნუგეში შეიძლება მოჰფინოს ადამიანს. მუსიკა და ჩუმი ლოცვა ღვთისმსახურების მონაწილეებს შინაგან კონცენტრაციაში უწყობს ხელს და ღვთის სიტყვის უწყების მოსასმენად ამზადებს. თემის გალობის შედეგად ყველა დამსწრე აქტიურად არის ჩართული ღვთისმსახურებაში. წმიდა ზიარების წინ შესრულებული საგალობლით თემს სინანულით აღსვასე განწყობის შექმნა შეუძლია. წმიდა ზიარებასთან დაკავშირებით ნამღერი საგალობელი ღმერთის მიმართ სიყვარულისა და მადლიერების გამომხატველია.

როგორ მთავრდება ღვთისმსახურება?
ღვთისმსახურების ბოლოს ყველა დამსწრეს სამერთი ღმერთის კურთხევა მოეფინება. შესავალ ტრინიტარულ ფორმულასთან ერთად საბოლოო კურთხევა ღვთისმსახურებაზე მიმდინარე მოვლენის გარშემო ჩარჩოს ქმნის. ამით ხაზი ესმება იმას, რომ ყველაფერი, რაც ღვთისმსახურებაზე ხდება, სამერთი ღმერთისგან გამოდის.

როგორ ჟღერს საბოლოო კურთხევა?
საბოლოო კურთხევა თემს 2. კორ. 13, 13-დან აღებული სიტყვებით გადაეცემა: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღვთისა და თანაზიარება სულიწმიდისა იყოს ყველასთან თქვენთან!“

სატიტულო გვერდი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/შვეიცარია
ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 23, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ფოტო: ბალოვსკი დიმიტრი - Fotolia.com

ცოდვათა მიტევება

რა უნდა ჰქნას კაცმა, ცოდვათა მიტევებას რომ მიაღწიოს?
ცოდვათა მიტევების მისაღწევად აუცილებელია,

- ირწმუნოს ადამიანმა იესო ქრისტე როგორც მხსნელი (შევ. იოან. 8, 24);
- აგრეთვე რწმენა იმისა, რომ ცოდვათა მიტევება მოციქულთა მეშვეობით იუწყება;
- იმის გაცნობიერება, რომ შესცოდა კაცმა და დანაშაული იტვირთა, და ამდენად, წყალობა სჭირდება მას;
- ღმერთთან შერიგების სურვილის ქონა გულში;
- ცოდვილმა ცოდვები მოინანიოს და „მამაო ჩვენოში“ ღმერთის წინაშე წარმოსთქვას: „მოგვიტევე ჩვენ ცოდვები ჩვენი ...“
- სისუსტეებისა და შეცდომების დასაძლევად სერიოზული განზრახვის ქონა;
- ცოდვილს იმასთან შერიგების სურვილი ჰქონდეს, ვინც მას რაღაც დაუშავა და ამდენად, დამნაშავეა მის წინაშე.

ზუსტად როგორ წარმოითქმის ლოცვა „მამაო ჩვენო“ ღვთისმსახურებაზე?
ღვთისმსახურებაზე „მამაო ჩვენოს“ ზუსტი ტექსტი ასე ჟღერს: „მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი. მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი, როგორც ცაში, ისე ქვეყანაზედაც. პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს, და მოგვიტევე ჩვენ ვალები ჩვენი, როგორც ჩვენ მიუვუტევებთ ჩვენს მოვალეთა, და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან. რადგან შენია სუფევა და ძალი და დიდება უკუნისამდე. ამინ.“

რას ნიშნავს მიმართვა „მამაო ჩვენო“?
მიმართვა „მამაო ჩვენო“ გვიჩვენებს, რომ ეს ლოცვა ერთობლივი ლოცვაა. უწოდებენ რა ადამიანები ღმერთს „მამას“, ამით იმას გამოხატავენ, რომ მან შექმნა ისინი, ის მათი უფალია და ზრუნავს მათზე. მათ აქვთ უფლება ღმერთს უშიშრად, სიყვარულითა და ნდობით უწოდონ „მამა“.

რას ნიშნავს „... ცაში“?
სიტყვა „ცაში“ ხაზს უსვამს იმას, რომ ღმერთი უფრო დიდი და მაღალია, ვიდრე ყველაფერი ამქვეყნიური. და მიუხედავად ამისა, იგი მაინც ყოველთვის და ყველგან ადამიანებთან ახლოს არის.

რას ნიშნავს „წმიდა იყოს სახელი შენი“?
ეს „მამაო ჩვენოს“ პირველი თხოვნაა. ღმერთი წმიდაა. მორწმუნენი წმიდაყოფენ მის სახელს იმით, რომ პატივს მიაგებენ მას და მისი ნებისამებრ ცხოვრებას ცდილობენ. ეს თხოვნა, ამავე დროს, მეორე მცნებასაც გვახსენებს.

რას ნიშნავს „მოვიდეს სუფევა შენი“?
ღვთის სასუფეველი იესო ქრისტეში მოვიდა ადამიანებთან. თხოვნით „მოვიდეს სუფევა შენი“ მორწმუნენი იმაზე ლოცულობენ, რომ ქრისტეს არსი

სულ უფრო მეტად აღსაქმელი გახდეს ეკლესიაში. გარდა ამისა, ამ სიტყვებით იმაზეც ლოცულობენ, რომ მომავალი ღვთის სასუფეველი გაცხადდეს, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლასთან ერთად დაიწყება და რომლის მიზანიც სასძლო თემის შინ წაყვანაა.

რას ნიშნავს „იყოს ნება შენი, როგორც ცაში, ისე ქვეყანაზედაც“?
ცაში, იმ სფეროში, სადაც ღმერთი ზის ტახტზე, მისი ნება უსაზღვროდ ბატონობს. ეს თხოვნა ორიენტირებულია იმაზე, რომ დედამიწაზეც ყველაფერი ღვთის ნებისამებრ ხორციელდებოდეს. ამ სიტყვებით მორწმუნენი იმაზეც ლოცულობენ, რომ ღვთის ნების შესრულება შეძლონ მათ.

რას ნიშნავს „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“?
ამით ყველაფერ იმაზე ლოცულობს ადამიანი, რაც მას სასიცოცხლოდ სჭირდება. ამაში ის თხოვნაც შედის, რომ ღმერთმა შემოქმედების შენარჩუნება გახადოს შესაძლებელი. გადატანითი მნიშვნელობით ეს თხოვნა გულისხმობს იმას, რომ, დაე, ღმერთმა თავისი სიტყვა, როგორც „საკვები“, ისე მიაწოდოს უკვდავ სულებს.

რას ნიშნავს „მოგვიტევე ჩვენ ვალები ჩვენი, როგორც ჩვენ მიუვუტევებთ ჩვენს მოვალეთა“?
ცოდვების გამო ყველა ადამიანი დანაშაულს იღებს საკუთრ თავზე. ამ სიტყვებით მორწმუნენი ცოდვილად აღიარებენ თავს ღმერთის წინაშე და მიტევებას სთხოვენ მას. იმის გამო, რომ ღმერთი მოწყალეა და მოგვიტევებს, ის ჩვენგანაც მოელის, რომ ჩვენც მივუტევებთ იმათ, ვინც უსამართლოდ მოგვექცა. ამიტომაც მხოლოდ მაშინ მოგვეტევება, თუ თავად ვიქნებით შემრიგებლები და მიმტევებლები.

რას ნიშნავს „ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში“?
მორწმუნენი ითხოვენ, დაეხმაროს ღმერთი მათ იმაში, რომ მთელი ძალით შეეწინააღმდეგონ ცოდვას. აქ ის თხოვნაც არის გამოხატული, რომ ღმერთმა ისინი სარწმუნოებრივი განსაცდელისგან დაიფაროს.

რას ნიშნავს „გვიხსენ ბოროტისაგან“?
ეს თხოვნა გამოხატავს სურვილს, რომ ღმერთმა ბოროტის ძალისგან გაგვანთავისუფლოს. საბოლოო ჯამში, საქმე ეხება იმას, რომ ღმერთმა საბოლოო ხსნა გვიბოძოს იმგვარად, რომ სამუდამოდ გავნთავისუფლდეთ ბოროტისგან. „გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება“ (კოლ. 1, 14) ღვთის ძეშია.

რას ნიშნავს „რადგან შენია სუფევა და ძალი და დიდება უკუნისამდე“?
ეს სიტყვები ღმერთის ქება-დიდებას წარმოადგენს („დოქსოლოგია“). ასე ყოვლისშემძლე ღმერთს ადიდებენ და სათანადო პატივს მიაგებენ მას. ორიენტირი ხსნის გეგმის დასრულებაა, როცა დახსნილები ღმერთთან საუკუნო დიდების განცდას შეძლებენ.

რას ნიშნავს „ამინ“?
ეს სიტყვა ებრაული წარმოშობისაა და ნიშნავს „დაე, იყოს ასე!“ ამ სიტყვით სრულდება „მამაო ჩვენო“, და კიდევ ერთხელ ხდება ყველაფერი იმის დადასტურება, რაც ღმერთმა ამ ლოცვაში ჩადო.

როდის ხდება ცოდვათა მიტევების უწყება ღვთისმსახურებაზე?
ცოდვათა მიტევების უწყება უშუალოდ „მამაო ჩვენოს“ ლოცვის ერთობლვად წარმოთქმას მოსდევს.

რა არის იმის საფუძველი, რომ ადამიანებისათვის მიტევება გახდა შესაძლებელი?
ცოდვების მიტევება შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ღმერთმა - როგორც სიყვარულის ღმერთმა - თავისი ძე ადამიანებთან გამოაგზავნა დედამიწაზე. ამ უკანასკნელმა ჯვარზე თავისი სიკვდილის მეშვეობით ერთხელ და სამარადჟამოდ გაიღო მსხვერპლი ცოდვათა მისატევებლად. სიცოცხლის ნებაყოფლობითი გაღებით იესო ქრისტემ სატანას ძალა გატეხა და ის და მისი საქმეები, კერძოდ, ცოდვა და სიკვდილი, დათრგუნა. მას მერე არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანები ცოდვებისგან განთავისუფლდნენ (შევ. მათ. 26, 28). იესომ ჩვენთვის გაიღო სიცოცხლე მსხვერპლად, რამეთუ ცოდვები მოგვტევებოდა და აღარ დავრჩენილიყავით ცოდვის ბატონობის ქვეშ.

ვინ მიუტევებს ცოდვებს?
სამერთი ღმერთია ის, ვინც ცოდვებს მიუტევებს. ადამიანს თავად, საკუთარი ძალებით, არ შესწევს უნარი, მიუტეოს ცოდვები და ცოდვებისგან განთავისუფლდეს. „ნეტარ არს კაცი, რომელსაც უფალი არ ჩაუთვლის ცოდვას“ (რომ. 4, 8).

რა შედეგები აქვს ცოდვათა მიტევებას?
ცოდვათა მიტევება ცოდვებისგან განწმენდს კაცს და აშორებს იმ დანაშაულს, რომელიც ღმერთის წინაშე აქვს მას. მორწმუნეებს, რომელთაც ცოდვები მიეტევათ, იესო ქრისტეს მშვიდობა აღეთქმებათ ამ სიტყვებით: „მშვიდობა მკვდრეთით აღმდგარი უფლისა იყოს თქვენთან!“ თუ ამ მშვიდობას რწმენით მივიღებთ გულში, ცოდვების შედეგების გამო შიში უკან დაიხევს. ცოდვათა მიტევებისგან დამოუკიდებლად ადამიანმა თავად უნდა აგოს პასუხი იმ შედეგებსა და პასუხისმგებლობებზე, რომლებიც მისი ცოდვილიანი საქცილეიდან გამომდინარეობს, მაგ., იქნება ეს მატერიალური თუ სამართლებრივი მხარე.

პაკეტები 60 000 თემისათვის

ის სულ 0, 25 გრამია, მაგრამ მაინც სჭირდება თვითმფრინავები და გემები, რათა ყველგან დანიშნულ ადგილმდე მივიდეს - ეს სეფისკვერია. ახალსამოციქულო თემები კი წმიდა ზიარების ჩატარებას მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ ლოგისტიკა იმუშავებს.

ფოტო: ფრანკ შულდტი



საარსებოდ მნიშვნელოვანი არც გათბობა, არც სატელიტური მოწყობილობა, არც ეკლესიის შენობა ადგილების გარკვეული რაოდენობით და არც დიდი გუნდი არ არის. როცა ლაპარაკი თემის მინიმალურ აღჭურვილობაზეა, პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი, უპ. ყოვლისა, სამ რამეს ასახელებს: მღვდელმსახურებს, ძირითად აზრებსა და წმიდა ზიარებას.

მღვდელმსახურებს მოციქულები აკურთხებენ ხელდასხმით და თემზე მზრუნველობას ანდობენ მათ. „ძირითად აზრებს“ მოციქულები ადგენენ, ხოლო პირველმოციქული გამოსცემს. სეფისკვერები კი წმიდა ზიარებისათვის - არა, მოციქულები აქ არაფერ შუაში არ არიან - სეფისკვერთა საცხობებში ცხვება და მსოფლიო მასშტაბით 60 000-ზე მეტ თემში იგზავნება. მრავალწლიანი გამოცდილება და დახვეწილი ლოგისტიკა ხდის ამას შესაძლებელს.

ეკლესიის საკუთრებაში მყოფი სამი საცხობი

მსოფლიო მასშტაბით ახალსამოციქულო ეკლესია სეფისკვერების სამ საცხობს ფლობს სამ ადგილას: ბილეფელდში/ გერმანია, კეიპტაუნში/ სამხრ. აფრიკა და ლუსაკაში/ზამბია. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი პატარა მანუფაქტურა ინდოეთში, სადაც სეფისკვერებს რკინის ფორმებში ხელით აცხობენ და თან წითელ ღვინოს აწვეთებენ ზემოდან. ყოველწლიურად სამივე ადგილას მთლიანობაში 200 მილიონი სეფისკვერი მზადდება. რომ ვიანგარიშოთ, ერთ წამში შვიდი სეფისკვერი გამოდის - შვიდი დღე მთელი კვირაა, დღე და ღამე. და ყოველთვის ფქვილისა და წყლის ერთი და იგივე შემადგენლობა აქვს: 1:1,3 - ასე აცხობენ მას.

ყველაზე ადრეული სეფისკვერების საცხობი ბილეფელდშია, რომელიც 1931 წელს დაარსდა. სეფისკვერების საცხობი კეიპტაუნში 2003 წლის თებერვალში დაარსდა, ლუსაკაში კი - 2012 წლის მარტში. ახალი საცხობების დაარსების მიზეზი იყო ის, რომ ეკლესიას სურდა და შეუძლია, რომ დამატებითი ადგილებითა და მიწოდების შემოკლებული მარშრუტებით სატრანსპორტო ხარჯები შეამციროს, რაც უკვე წლებია ფუნქციონირებს. დღეს კეიპტაუნიდან სამხრ. აფრიკის, სამხრ.-აღ. აფრიკის, აღ. აფრიკისა და

მსოფლიო მასშტაბით ახალსამოციქულო ეკლესია სეფისკვერების სამ საცხობს ამუშავებს: კეიპტაუნში/ სამხრ. აფრიკა (2003 წლიდან), ლუსაკაში/ზამბია (2012 წლიდან) და ბილეფელდში/ გერმანია (სურათზე), სადაც სეფისკვერების წარმოება უკვე 1931 წლიდან მიმდინარეობს.

კონგოს დრ-ის ნაწილის (დასავლეთი) თემების სეფისკვერებით მომარაგება ხდება. ლუსაკადან სეფისკვერები ზამბიის, მალავიისა და ზიმბაბვეს ქვეყნებში იგზავნება.

გადაზიდვა მცირე სატვირთო მანქანებით, თვითმფრინავებითა და გემებით

ბილეფელდში კვერების წარმოებაზე მუშაობს სამი თანამშრომელი სრულ შტატზე, ერთი არასრულ შტატზე და ერთიც დამხმარე. 60 ქვეყანაზე მეტი და ათსობით თემი მარაგდება აქედან სეფისკვერებით. ყველაზე შორეული თემები 16 000 კმ-ის მოშორებით მდებარეობენ ამერიკის სამოაზე, წყნარ ოკეანეში ფიჯის კუნძულებზე.

გამომცხვარ სეფისკვერებს პატარა მუყაოს ყუთებში ფუთავენ და გასაგზავნად ამზადებენ. დამზადებასთან ერთად თანამშრომელთა მთავარ ამოცანას შემდგომი ლოგისტიკა წარმოადგენს. თვეში ათჯერ მაინც იტვირთება ტრანსპორტზე კონტეინერები გასაგზავნი ტვირთით. ეს დიდი მოცულობის განსაკუთრებული მიწოდებაა, მაგ., კონგოს თემებისათვის. ეს ტვირთი საჰაერო გადაზიდვის გზით ცენტრალურ აფრიკაში ჩადის და იქიდან თითქმის 80 სამოციქულო მხარეში ნაწილდება.

არსებობს აგრეთვე დაბრუნებული სეფისკვერების პარტიებიც

გარდა ამისა, ბილეფელდელი სეფისკვერების მცხობელები ამზადებენ აგრეთვე სამ ათეულ გასაგზავნ პარტიას, რომელთა მიწოდებაც ამანათების კლასიკური მიტანის სამსახურის მეშვეობით ხდება. ზოგი ქვეყანა სეფისკვერებს ყოველთვიურად იღებს, ზოგი კი ორ ან სამ თვეში ერთხელ. „მოთხოვნილებისდა მიხედვით“, ამბობს საცხობის დირექტორი, სამხ. მახარებელი მიხაელ ბლოკი. მხოლოდ ერთადერთი გადაზიდვა ხდება სანაოსნო გზით: სიერა-ლეონეს/დას. აფრიკა თემებს სეფისკვერები გემებით მიეწოდებათ - ამ შემთხვევაში ეს გაგზავნის ყველაზე სწრაფი საშუალებაა. ამდენად, 110 მილიონზე მეტი სეფისკვერი ტოვებს ქარხნის ტერიტორიას გერმანიაში. აქედან 34. 500 უგლუტეინო სეფისკვერია, რომლებიც შრომატევადია და ხელით მზადდება, და ძირითადად ევროპის, კანადისა და აშშ-ს თემებს მიეწოდება.

„მაგრამ ხანდახან გაგზავნილი პაკეტი უკანაც ბრუნდება საცხობში“, ამბობს სამხ. მახარებელი ბლოკი. რატომ ხდება ასე, არ ვიცით. თუმცა აქამდე უარი არავის უთქვამს სეფისკვერების მიღებაზე: არც პაკეტების მიწოდებისას და არც ღვთისმსახურებაზე, როცა თემი წმიდა ზიარებას ზეიმობს და იესო ქრისტესთან თანაზიარებით ტკბება. „ჭამეთ და სვით! ეს ჰყავით ჩემდა მოსახსენებლად“, თქვა იესომ.

სიახლეები საქართველოდან

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

მოციქული ვ. შუგი ახალშენში ღვთის შვილებთან ერთად

მოციქული შუგის სტუმრობა საქართველოში

22 ივლისიდან 29 ივლისამდე საქართველოს მოციქული ვოლფგანგ შუგი სტუმრობდა მეუღლესთან, ბირგიტთან, ერთად. მოციქულს გეგმაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თემების მონახულება ჰქონდა.

22 ივლისს სამხ. უხუცეს პეტრე უგრიმოვთან ერთად მოციქულმა ვ. შუგმა და მისმა მეუღლემ გეზი ბათუმისკენ აიღეს. იმავე საღამოს მოციქულმა ბათუმის ეკლესია დაათვალიერა, რომლის ტერიტორიული ჩარჩოებიც, რეგისტრაციის მიზნით, დასადგენი იყო. ამასობაში ეს პრობლემა ეკლესიის სასარგებლოდ გადაწყდა და ახლად დადგენილ საზღვრებში ახალი ღობის გაკეთება იგეგმება.

მეორე დღეს, 23 ივლისს, მოციქული თანმხლებლებთან ერთად ფოთის და-ძმებს ესტუმრა. ღვთისმსახურებას მან საფუძლვად დაუდო ციტატა ფილიპ.1, 3-6-დან. ღვთისმსახურებაზე ერთი მორწმუნე სულიწმიდით აღიბეჭდა.

ბათუმის თემის წევრები ეკლესიაში 24 ივლისს შეიკრიბნენ, რათა მოციქულ ვ. შუგის მსახურებას დასწრებოდნენ (21 კაცი). ღვთისმსახურების საფუძვლად მოციქულმა რომ. 12, 2 აიღო. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მთავარი სულიერი და გონებრივი განახლებაა, რასაც ნათლობა და წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადება განაპირობებს. განახლებული ადამიანი სულიერ ღირებულებებზეა ორიენტირებული და არა ამქვეყნიურზე. საღამოს მოციქულმა და მისმა მეუღლემ ქალაქი ბათუმი დაათვალიერეს. მეორე დღეს კი თბილისისკენ გამოეშურნენ.

სამშაბათს, 26 ივლისს, ღვთისმსახურება კახეთში, ახალშენში იყო დაგეგმილი. ახალშენში მისვლამდე მოციქულმა ქორეთის ყოფილი ეკლესია მოინახულა, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციამ შეიძინა და ამჟამად იქ საბავშვო ბაღია განთავსებული.

ახალშენში თავი მოიყარეს კახეთის ყველა თემის წევრებმა (74 კაცი, აქედან 7 სტუმარი) და საერთო ღვთისმსახურება ჩატარდა, რომელიც მოციქულმა ლუკას სახარებიდან აღებული ციტატით დაიწყო (17, 6): „თქვა უფალმა: 'მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაც რომ გქონდეთ და უთხრათ ამ ლეღვის ხეს: აღმოიფხვერი და ზღვაში გადაინერგეო, გაგიგონებდათ". მან აღნიშნა, რომ რწმენა ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელი უნდა იყოს და უნდა შევეცადოთ, რომ ამ რწმენამ გულში უკან არ დაიხიოს.

ოთხშაბათს, 27 ივლისს, ღვთისმსახურება თბილისში, ავლაბრის ეკლესიაში, მოციქულ შუგის ხელმძღვანელობით წარიმართა იერემიას გოდებიდან აღებული ციტატის საფუძველზე: „კეთილია უფალი მისი მოიმედისთვის, მისი მაძიებელი სულისთვის." ღვთისმსახუებაზე თანაიქადაგეს სამხ. მახარებელმა მინდიამ და მღვდელმა ბესომ. საღამოს მოციქულმა ვ. შუგმა და მისმა მეუღლემ მღვდელმსახურებთან და მათ მეუღლეებთან ერთად ივახშმეს. (ამ ვახშამს პენსიაში მყოფი მღვდელი გივი ძნელაძეც ესწრებოდა მეუღლესთან ერთად; ეს ძმებთან მისი ბოლო შეხვედრა იყო, 22 აგვისტოს იგი გარდაიცვალა. ნათელში იყოს მისი სული).

მეორე დღეს ძმების საათი გაიმართა, სადაც ორგანიზაციულ საკითხებზე იყო მსჯელობა.

29 ივლისს მოციქული ვ. შუგი და მისი მეუღლე ბირგიტი სამშობლოში დაბრუნდნენ.

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

მოციქული ვოლფგანგ შუგი ბათუმის თემში

პროგრამა

02.10.2016	ბერლინი/გერმანია
09.10.2016	ლაუზანე/ შვეიცარია
23.10.2016	პერთი/ ავსტრალია
03.11.2016	ბულავაიო/ზამბია
06.11.2016	ბლანტირე/მალავია
20.11.2016	ჰილვერსუმი/ ნიდერლანდები
27.11.2016	ლოს-ანჟელესი/აშშ
11.12.2016	ჰანოვერი/გერმანია
18.12.2016	კეიპტაუნი/სამხრ. აფრიკა
31.12.2016	ბილი/ შვეიცარია

New Apostolic Church
International